ტფილისი

№ 122
ივნისის 13, ხუთშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 122
ივნისის 13, ხუთშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ი ვ ე რ ი ა“

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ზორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჴელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“
რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,
გადადის საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ქნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა შეილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა თვისის შვილის პოლკოვნიკის თავადის

გიორგი ლევანის ძის მელიქიშვილისას

10 ივნისს საღამოს 10 საათზედ. პანაშვიდები გარდახდილ იქმნება ყოველ დღე ნაშუადღევის 1 საათზედ და საღამოს 8 საათზედ გარდაცვალებულის სადგომში, რტიშჩევის ქუჩა, სახლი თავადის ბებუთაშვილისა, № 6.

გასვენება მიცვალებულისა დიდუბის ეკკლესიაში დანიშნულია პარასკევს, 14 ივნისს, დილის 9 საათზედ.
(3—358—2)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი.
(6—9)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (**МѢТКИ**). ბარონის ქუჩა № 12.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისადა წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროთერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

გ. ა. თარხანოვი. 7—$7\frac{1}{2}$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისი

✦ 11 ამ თვეს პროფ. პეტრიაშვილის თაოსნობით და ბ. ტარატინოვის თანხლებით ექსკურსანტები გაემგზავრნენ ყარაიაზს, სადაც მათ დაუხვდა ცნობილი ინჟენერ-ჰიდრავლიკი საფრონსკი. ექსკურსანტებმა ადგილობრივ დაათვალიერეს მარინის სარწყავი არხი, ჯიშიან ცხენების მოსაშენებელი სადგური და საცდელი მინდორი; ყოველივეს მცოდნე პირები უმარტავდნენ სტუმრებს. ბოლოს საცდელ მინდვრის გამგემ სადილზე მიიწვია ექსკურსანტები. საღამოზედ საგანგებოდ მათთვის მოაბეს ერთი ვაგონი საქონლის მატარებელს და გამოისტუმრეს ტფილისს, სადაც ღამის თორმეტ საათზედ მობრძანდნენ.

✦ ტფილისის ვაჟთა მე 3 გიმნაზიაში უკვე დასრულდა ეგზამენები. სწავლა დაამთავრა 27 ყმაწვილმა კაცმა. მათ შორის 3 ქართველია: ალ. გოგიაშვილი, გრ. თარხან-მოურავი და სოლ. ერისთავი. ამავე გიმნაზიაში დაიჭირეს ეგზამენები ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მერვე კლასის შეგირდებმა და მიიღეს ატესტატები: შ. ალექსი-მესხიშვილმა, ლეონ გაბაშვილმა და გაბ. ჯავრიშვილმა. ტფილისის მეორე გიმნაზიაში დღეს არის უკანასკნელი ეგზამენი.

✦ ეგზამენები დამთავრდა ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაშიაც. სულ 59 ქალმა გაათავა სწავლა. აქედგან ორი ქართველია, ოლღა იმნაძე და იანქოშვილი (მიიღო ოქროს მედალი), 48 რუსია, დანარჩენნი სომხები და სხვა ეროვნებისანი არიან.

✦ ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიაში სწავლა დაასრულა სულ 26 ქალმა. არც ერთი ქართველი არ არის მათ შორის.

✦ გაზ. „კავკაზის“ გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია ვრცელი წერილი როტმისტრის ბორის ესაძისა გენერალის ე. ე. ზეზემანის შესახებ, რომელიც ამ დღეებში გარდაიცვალა და რომელიც დიდ-ხანს იყო კავკასიის მე-2 კორპუსის კომანდირად.

✦ გაზ. „კავკაზს“ შეუტყვია, რომ იტალიის რამდენსამე სავაჭრო ფირმას განუზრა-

---

ფელეტონი

ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკების მკვიდრნი ანუ ბურები.

მათი სამხრეთ აფრიკაში დასახლების ისტორია, ხასიათი, ცხოვრება და კულტურა *).

(ეტნოგრაფიული აღწერა)

„თუმცა ინგლისმა ბევრჯელ დაამტკიცა, რომ მისი პოლიტიკა და საქმენი ევროპიელთათვის მეტად მავნეა, ევროპიელნი მაინც ინგლისს და ინგლისელებს იმ ანგელოზად სთვლიან, რომელიც კაცობრიობას დასამშვიდებლად მოევლინაო“, ამბობს ცნობილი რუსთა ეკონომისტი, პროფესორი ვერნადსკი. „ამის მიზეზი, განაგრძობს იგი, სხვათა შორის, ის არის, რომ ინგლისი ყოველ თავის განზრახვის ასრულებაში ისე მალულად იქცევა, რომ მისი განზრახვა ძნელი გასაგებიაო“. მართლადაც, კაპლანდიის ხელში ჩაგდებისათვის ინგლისმა დიდი ეშმაკობა და თავისებური ნიჭიც-კი დახარჯა და, თუ ეს ადვილად ვერ აასრულა, ეს იმით აიხსნება, რომ თვით განგება ჰშველოდა და იცავდა კაპლანდიას საშინელ განსაცდელისაგან.

განიზრახა-რა კაპშტატის ხელში ჩაგდება, ინგლისმა მიჰმართა თავისებურ მალულ პოლიტიკას. ვითომ-და თავის ხომალდებისა და ნავთ-სადგურის ავაზაკებისა და ველურის ხალხისაგან დასაცველად, დაასახლა მან კაპშტადში ათიოდე ჯარის-კაცი. ეს ჯარის-კაცები მშვიდად იყვნენ, ემორჩილებოდნენ აქაურ წესსა და რიგს და ისეთ ყურ-მოჭრილ მონებად სჩანდნენ, რომ მათზე კაცი ცუდს არას იფიქრებდა. ვან-რიბეკმაც, დარწმუნებულმა რომ ჰოლლანდიელების წინაამდეგ ინგლისს ცუდი განზრახვა არა აქვს-რა და ჯარის-კაცები მარტო ხომალდების დასაცველად დაასახლა, ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ინგლისელთა ჯარის-კაცების რიცხვი კაპშტადში შესამჩნევად მატულობდა. როცა ამ ჯარის-კაცების რიცხვი იმდენად გამრავლდა, რომ ჰოლლანდიელთა გარნიზონში მყოფთა რიცხვს აღემატა, ინგლისმა გადასწყვიტა ჰოლლანდიელთა გარნიზონის გაწყვეტა და თავის გუბერნატორის დანიშვნა კაპლანდიაში. ინგლისელები მალულად უნდა დასცემოდნენ ღამე ჰოლლანდიელების გარნიზონს და ამოეწყვიტათ. განგებამ დაიხსნა კაპლანდია ამ განსაცდელისაგან: ერთს, კაპშტადში მოსულს, ჰოლლანდიელს შეეტყო ეს ამბავი და გადაეცა ვან-რიბეკისათვის. ამ გვარად ინგლისელების შეთქმულობა გამომჟღავნდა და ავაზაკურ განზრახვის განხორციელება ველარ მოახერხეს ინგლისელებმა. ვან-რიბეკმა, რასაკვირველია, აღარ დააცალა ინგლისელებს სხვა საშუალებით აესრულებინათ თავიანთი წადილი და მეორე დღესვე მისცა თავის გარნიზონს ბრძანება, შეიპყარით ინგლისელნი, წაართვით თოფიარაღი და განდევნეთ კაპლანდიიდგანაო. რა თქმა უნდა, ვან-რიბეკის ბრძანება აღსრულებაში იქმნა მოყვანილი და მეორე დღესვე კაპშტადში და არსად კაპლანდიაში ველარც ერთ ინგლისელს ვერ იპოვიდით.

ამ განსაცდელის თავიდან აშორების შემდეგ, ახალშენმა განაგრძო თავისი წმინდა მისსია სამხრეთ-აფრიკაში. გოტენტოტების დამშვიდების შემდეგ, ჰოლანდიელები შეუდგნენ კაფრების დამორჩილებას. კაფრები მეტად მიუკარებელნი და ხასიათით ავნი აღმოჩნდნენ, ასე რომ ვან-რიბეკმა თავისის მშვიდის პოლიტიკით ვერაფერი ვერ მოახერხა კაფრებთან. ბევრგვარი ღონისძიება იხმარა ვან-რიბეკმა კაფრების დასამშვიდებლად, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა და, დარწმუნდა-რა, რომ კაფრებს თუ არ ძალით, ვერასფრით ვერ გადააჩვევს ტყე-ტყე ტანტალს და მოწამლულ შვილდ-ისარით ნადირობას, ხოლო მათი დამშვიდება-კი კაპლანდიისა და საზოგადოდ სამხრეთ-აფრიკის წინსვლელობისათვის აუცილებლად საჭიროა, გაჰბედა და გადასწყვიტა დროებით თავის მშვიდ პოლიტიკისათვის ეღალატნა და ძალა ეხმარა კაფრების დასამორჩილებლად.

განგებამ ნება არ მისცა ვან-რიბეკს თავისი ამდენის ხნის პატიოსანი და წმინდა მოღვაწეობა შეებღალა კაფრების სისხლის დაღვრით: თვით უზენაესმა ძალამ ისურვა, რომ ვან-რიბეკს თავისი ამ ქვეყნად მოქმედება დაებოლოვებინა წმინდად და პატიოსნურად. ვან-რიბეკი გარდაიცვალა სწორედ მაშინ, როცა ამზადებდა ჯარს კაფრების წინაამდეგ გასალაშქრებლად. ეს მოხდა 1679 წლის დამდეგს.

ვინ-რიბეკის გარდაცვალებამ დიდ მწუხარებაში ჩააგდო მთელი კაპლანდია. როგორც შვილები მამას, ისე დასტიროდნენ ჰოლლანდიელები თავიანთ საყვარელს გუბერნატორს, იმ კაცს, რომელმაც შესწირა მთელი თავისი ძალა და ღონე კაპლანდიის და სამხრეთ-აფრიკის ვიწრო ქიმის ბედნიერებას და თავისის მხნეობითა და ჭკუით შავკანიანთაც მოჰფინა ნათელი და საკეთილოდ შესცვალა მათი ველური მდგომარეობა.

ჰოლანდიელებს ამ საქმეში მხარს აძლევდნენ გაპატიოსნებულნი და კაცებათ ქცეულნი გოტენტოტები და, ვინ იცის, რამდენმა კაფრის უგრძნობელმა გულმაც-კი იგრძნო უპირატესობა ადამიანობისა უადამიანობის წინაშე.

ვან-რიბეკის შემდეგ კაპლანდიელებმა თავის მმართველად ამოირჩიეს ვანდერ სტელი, პატიოსანი და მშვიდი მოხუცი. ვანდერ სტელი დაადგა ვან-რიბეკის პოლიტიკას და მარჯვედ იცავდა ახალშენში მშვიდობიანობას. მან დიდი ნიჭი გამოიჩინა ახალშენის მართვაში და ძალიან წასწია წინ ჰოლლანდიელების კულტურა; მისი გუბერნატორობა სამართლიანად ითვლება ახალშენის საუკეთესო ხანათ. ხოლო ისტორიაში ეს დრო უფრო შესანიშნია იმით, რომ ახალშენში გადმოსახლდნენ ფრანგები—ჰუგენოტები, უძვირფასესი ელემენტი ყველა იმ ელემენტ შორის, რომელთაც დაჰბადეს ეხლანდელი ბური, ეს შეუდარებელი გმირი, თავ-განწირული მოტრფიალე თავისუფლებისა და სიმართლისა. ყველა ის, რაც ახასიათებს ახალშენელთა შემდეგს მოქმედებას და ამშვენებს ბურების ისტორიას, შედეგი იყო ჰუგენოტის რწმენა-განათლებისა, მისის შეხედულობისა და ჩვენც საჭიროდ ვრაცხთ აქვე მოკლედ მოვაგონოთ მკითხველს, ვინ იყვნენ ჰუგენოტები და როგორ და რა მიზეზით გადასახლდნენ ისინი კაპლანდიაში.

—

ჰუგენოტების ისტორია იწყება თითქმის იმ დროსვე, როცა ჰოლლანდიელები პირველად გადასახლდნენ სამხრეთ-აფრიკაში. როგორც უკვე ვსთქვით, იმ დროს, როცა ზღვის ნაპირას მცხოვრებნი ევროპიელნი ზღვით მოგზაურობამ გაიტაცა, ევროპის შუაგულ სახელმწიფოებში გაჩაღდა საშინელი ბრძოლა სარწმუნოებისა და საზოგადო წეს-წყობილების გაუმჯობესებისათვის. აქ თითქმის ყველგან გავრცელებული იყო კათოლიკეთა სარწმუნოება. კათოლიკეთა პატრებმა ჩაიგდეს თავიანთ ხელში მონასტრებისა და ეკკლესიების აუარებელი სიმდიდრე და მიეცნენ გარყვნილს ცხოვრებას. ხოლო ხალხი ბევრგვარ სახელმწიფო გადასახადის და ბეგარის გამო დიდს სილატაკეში იყო ჩავარდნილი. ეს გაღარიბებული ხალხი და ყველა ის, ვინც აღიზარდა და განვითარდა, ესრედ-წოდებულ გუმანიურ განათლების გავლენის ქვეშე, ზიზღით უყურებდნენ პატრების ყოფა-ქცევას, მათს გარყვნილს ცხოვრებას და, რასაკვირველია, მოუთმენლად მოელოდნენ ბოლოს ამ ყოველს ზომას გადასულ განცხრომისას. საკმარისი იყო ერთი შეხახება და ეს მოთმინებიდგან გამოსული ერი, როგორც ერთი კაცი, წამოდგებოდა ფეხზედ პატრების წინაამდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. რასაკვირველია, ერის ამგვარი აღელვებული მდგომარეობა საუცხოვო ნიადაგი იყო კატოლიციზმის

---

*) იხ. „ივერია“ № 111.

ხავს გაგზავნოს რუსეთსა და სპარსეთში წევრი მილანის საგეოგრაფო საზოგადოებისა კარლოს გატტი და ბ-ნი აქილეს სადა მეაბრეშუმეობის კულტურის შესასწავლად და გამოსაკვლევად აბრეშუმის პარკის გაყიდვის ვითარებისა.

◆ ხარმა ხარს ურქინა და ბაგაზედ მიაგდოვო, სწორედ ასეთი საქმე უყვეს ჩვენებურ, არამც თუ ყასბებს, იმ მაღაზიის პატრონებსაც-კი, ვინც ღვინით, არყით, ჩაი-შაქრით და ათას «ზაკუსკეულითა“ და წვრიმალით ვაჭრობენ. ისინი ამ ვაჭრობას არა სჯერდებიან, გვერდზედ საყასბოები აქვთ დამართული, სადაც დღეში დაახლოვებით 20—30 ფუთ ხორცს ჰყიდიან, არტალას, კისერს, სულ 12 კაპეიკათ გირვანქას. ეს ხორცი რომ არა ჰყოფნით, ცხვრებს ინახავენ, ეზოშივე ჰხოცავენ და ისე ჰყიდიან (გუშინ-წინ ერთი უსულადოც გაასაღეს)*). ასე თავის უფლად იქცევიან ამ პაპანაქება სიცხეში, შიგ შუა ქალაქში, მიხეილის პროსპექტად წოდებულ ქუჩაზედ. კვირა დღეს ხომ როგორც ხალხს ატყუებენ, ისე ღმერთს: დუქანი მიკეტილები აქვთ და შიგ ისე ვაჭრობენ «ხაზეინ-მოჯამაგირიანათ“. პატრონი და ხმის გამცემი-კი არავინა ჰყავთ. ბაზრის მეთვალყურეს აქ ვერ დაინახავთ. იქნება მეტის ღირსნიც არ იყვნენ აქეთ მცხოვრებნი,

ვინ იცის! არც ეზოები და მისადგომი ადგილებია დასუფთავებული. დრო კია, რომ ყურს ათხოვებდეს ვინმე ყოველსავე ამ უწესობას.

◆ ბევრისაგან ბევრი თავხედობა და უპატიოსნო სიტყვები გაგვიგონია და გვინახავს ჩვენებურ კონკის კონდუქტორ-კუჩერ-კანტროლიორებისაგან და იმისთანა ამბავს-კი არსად არ შევსწრებივართ, როგორსაც 11 ივნისს შევესწარით. სწორედ საღამოს ხუთის ნახევარი იყო საათისა, რომ ერთი აურ-ზაურითა და მუშტა-კრივით მოადგნენ ვერის ხიდიდგან მადერის პირდაპირ დასასვენებელ ალაგს. კონკა გაჩერდა და კრივი გასამკეცდა, ასე რომ აქამდე თუ ორნი, ესე იგი კონდუქტორი და კანტროლი სცემდნენ ერთ ვიღაც ყმაწვილ კაცს (ვგონებ ქართველი იყო ან სომეხი), ასე რომ ჩესუჩის პიჯაკი მთლად შემოგლეჯილი ჰქონდა, აქ კუჩერიც ჩაერია თავის ტლანქის ხელებით და თითქმის 20 წუთმა გასტანა, სანამ პოლიციელი გამოჩნდებოდა. გამოჩნდა და ამანაც მონაწილეობა მიიღო საერთო კრივში, ასე რომ თუ ამ ყმაწვილს არავინ გამოსჩენოდა, ტყავსაც ვეღარ მიიტანდა სახლში. მართალია ყმაწვილი კაცი ცოტა ნასვამი იყო, მაგრამ არც ისე, რომ გრძნობა და ადამიანობა დაკარგული ჰქონოდეს. საქმე პოლიციით დასრულდა და ვგონებ „სუდსაცა“ ჰნახავს, მაგრამ განა უზრდელ და ბრიყვ ადამიანს პოლიცია და სასამართლო გაასწორებს? რა საჭირო იყო ცხვირ-პირის მტვრევა და ჩხუბი სამი-ოთხის კაცისაგან, როდესაც შეიძლებოდა ციმ-ციმ აეწყვნათ და პოლიციამდის ისე მიეყვანათ, მაგრამ ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს და ლოთი გამარჯვებასაო, უთქვამთ და ესენიც მკლავის სიძლიერესა სინჯავდნენ და ქვეყანას სეირს აყურებინებდნენ.

ალაგობრივის ცხოვრების ამბები

ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის განკარგულებით, ქუთაისიდგან ლეჩხუმში წასასვლელი საფოსტო გზა, რომელიც აქამდე მიდიოდა ჯერ რაჭისკენ, მერე ს. ცაგერს დაჯანურის ხეობაზედ, სხვა მიმართულებას მიიღებს. ქუთაისიდგან გაივლის დ. ხონზედ, ს. მათხოჯზე, ს. გორდზე, ს. გვედზე და მივა ცაგერს. ამ ნაირად ახალი გზა სამ მაზრას გაუწევს სამსახურს: ქუთაისისას, სენაკისას და ლეჩხუმისას. გუბერნიის ადმინისტრაციის განკარგულებით, უკვე შეუდგნენ ამ პროექტის განხორციელებას.

—

სოფ. მეჯვრისხევი (გორის მაზრა). წრევანდელმა უსნეთობამ ერთობ მშვიდობიანად ჩაიარა. კვლავინდებურად ქურდობა-ავაზაკობა და ჩხუბი არა ყოფილა. ჭირნახულები აქეთ ავის თვალით არ ინახვის. ვენახებსაც კარგად ასხია. წარმოიდგინეთ, კაკლის ხსენება ზემო მხრისაკენ მოსპო უდროვო სიცივეებმა და აქეთ-კი მშვენივრად ასხია კაკალს. სხვაფრივაც სიღიანობაა.

ს. ბერძნიშვილი

—

სოფ. რეხა (ბორჩალოს მაზრა). სოფელში ითვლება 120 კომლი, 90 კომლი წმინდა ქართველობაა და 30 კომლი ნახევარი ქართველია, ნახევარი ბერძენი, რომელნიც თათრულად ლაპარაკობენ. ბერძნული არ იციან. ამ ორისა თუ სამის წლის წინად ამ სოფელში მღვდელი ბერძენი იყო და ბერძნულად სწირავდა, ასე რომ ქართველებს არაფერი არ ესმოდათ. შემდეგ ამ ორ წელს ქართველი ღვდელი იყო ბარნოვი, ამ უკანასკნელ ხანებში ბარნოვი გადავიდა სხვა სოფელში, ხალხი უმღვდლოდ დარჩა და მიჰმართა უმთავრეს სასულიერო მთავრობას, რომ მღვდლად დაუნიშნონ შუა-მთის ბერი, რომელიც ამ სოფლისავე შვილია. ამაზე სოფლის განაჩენი იყო დადგენილი და რამდენიმე ვექილი იყო გამოგზავნილი, რომ ტფილისში მთავრობასთან იშუამდგომლონ. ესენი ორ თვეს დადიოდნენ ამ საქმისათვის. ამ დღეებში პასუხი მიუღიათ, რომ იქვე ახლოს ბერძნის მღვდელს უნიშნავენ. ახლა კიდევ ბერძნულად უნდა ისმინოს წირვა-ლოცვა ქართველმა მრევლმა, რომელიც თათრებში არის გადაკარგული. ქართულის ლოცვის დავიწყებას-კი არა, ქართულის ენის დავიწყებასაც უნდა მოველოდეთ.

—

სოხუმი. არც ერთს დღესასწაულზე სოხუმს ისეთი მხიარული და სიცოცხლით სავსე ელფერი არ მიუღია, როგორიც ორს ივნისს. ჯერ იყო და სამოქალაქო ბაღში გაიმართა სეირნობა-ბაზრობა აქაურის საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. ამის გამო, როგორც ბაღი, ისე ზღვის პირის ქუჩა, მშვენივრად იყო მორთული მწვანითა და ბაირაღებით. ბაღში და ნავთ-სადგურზე იყო გაკეთებული რამდენიმე ფარდული, სადაც ახალგაზრდა ქალები ჰყიდდენ ყვავილებს და სხვა-და სხვა ნივთებს. საღამოზე გაიმართა ნავების მარულა (гонка на фелюгахъ) და სეირნობა მშვენივრად მორთულის პატარა გემით „გელენჯიკით“, ბაღი ლამაზად იყო განათებული ფერადი ფარნებით და უშვებდნენ მრავალგვარს შუშხუნებს. ამ სეირნობა-ბაზრობამ გვარიანი სარგებლობა მისცა საქველ-მოქმედო საზოგადოებას ჩვენის ახალგაზრდა ქალების მეცადინეობით: შემოვიდა 1,500 მანეთამდე მეტი.

თუმცა სეირნობა ძალიან იზიდავდა კაცის გულს, საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც ამას ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა მზადებაში იყო: ემზადებოდა ღირსეულად დაჰხვედროდა ყველა ქართველისათვის სასიქადულო მამულიშვილს პროფესორს პეტრიაშვილს, რომელიც სირცხიდამ (Новый Аѳонъ) ფეხით ჩამოვიდა სოხუმში და თან ჩამოჰყვა პროფესორი ბარაკოვი და 17 სტუდენტი. ამ ძვირფასს სტუმრებს სოხუმის ქართველმა საზოგადოებამ გაუმართა სადილი, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა თითქმის მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ. სადილზე მრავალი საყურადღებო სიტყვა წარმოითქვა, როგორც რუსულად, ისე ქართულად.

სადილის დაწყებისას პროფესორმა პეტრიაშვილმა დაახლოვებით შემდეგის მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას: „ის ერი, რომელსაც წინსვლის სურვილი აქვს გაღვიძებული, დიდს განსაცდელშია ჩავარდნილიო. ეს იმიტომ, რომ კაცი რომ წინ წავიდეს, ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო და, სხვათა შორის, ჭკუა, რომელსაც ჩვენ ვერავინ შეგვეცილება, შრომა, რომელიც ჩვენ არ გვეზარება, თუმცა ზარმაცებს გვეძახიან, სწავლა, რომელსაც ადვილად მივიღებთ, თუ გარემოება ხელს შეგვიწყობს და ბოლოს უმთავრესი საჭიროება არის ფული, რადგან უმისოდ ძნელია კაცი რასმე გახდეს; ეს-კი ჩვენ არ მოგვეპოვებაო, ამისათვის ვისურვებ აჰყვავებულიყოს მეგრელთა ხელში ვაჭრობა, რომლისაც მათ დიდი უნარი აქვთ და რომლის შემწეობითაც ადვილად შეუძლიანთ ნივთიერად გაღონიერდნენ და შემდეგ-კი ყველაფერს მოახერხებენო“.

სადილზე მღეროდნენ მშვენიერს რუსულსა და ქართულს სიმღერებს.

სადილის გათავებისას, რომელმაც ხუთ საათამდე გასტანა, სურათი იქმნა გადაღებული სტუმრებისა და მასპინძელ საზოგადოების ჯგუფისა. შემდეგ დიდ-ძალმა საზოგადოებამ აღტაცებულის ვაშას ძახილით გემამდე მიაცილა სტუმრები. ნავებში რომ ჩასხდნენ, გაჩნდა საიდგანღაც ზურნა და ახალგაზდობამ იწყო ლეკურის თამაში და სიმღერები ნავებში. ამ ნაირის მხიარულობით და შამპანიურის ღვინოებით სავსე ჭიქებით აჰყვნენ მათ გემში. აქ პროფესორი პეტრიაშვილი და მისი თანამგზავრნი გამოეთხოვნენ საზოგადოებას და გაემართნენ ფოთისაკენ.

მექი.

—

ბათუმი. მუშათა ორის არტელის დაჯიბრება. 1889 წელს ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ბათუმის მუშათა არტელი (Батумская Артель Грузовщиковъ), რომლის დამაარსებელნი ყველანი ქართველები ვიყავით.

გაიგო თუ არა ეს ამბავი ბათუმის დამოჟნის მუშების კერძო მოიჯარადრემ ბ-ნმა გრიგოლ მადინოვმა, რომელიც ჩვენის არტელის მოკეთე არ იყო, გაეშურა პეტერბურგს და 1891 წელს, ესე იგი, ორის წლის შემდეგ ჩვენის არტელის დაარსებისა, მიჰმართა ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ამხანაგს და წარუდგინა ახალი წესდება მუშათა არტელის დასამტკიცებლად. ბ-ნმა ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა წესდება დაუმტკიცა ამ სახელწოდებით: „ბათუმის ტამოჟნის მუშათა არტელი“ (Артель рабочихъ Батумской Таможни).

ორისავე არტელის „პაი“ დაარსებისას ფასობდა 300 მანეთად; დღეს-კი ათი-თორმეტის წლის შემდეგ, ჩვენის ბათუმის მუშათა არტელის „პაი“ 30 მანეთად არავის უნდა, ხოლო ტამოჟნის არტელის „პაი“ 3000 მანეთათ ფასობს!

რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენს მუშათა არტელში ყველანი ქართველები ვართ და, ხომ მოგეხსენებათ, საერთო საქმეში ქართველებს უნარი არა გვაქვს და არ ვარგივართ, საქმეს ვერ ვაწარმოებთ...

ბათუმის ტამოჟნის არტელში-კი რუსები და სომხები არიან, რომელნიც მტკიცედ ასრულებენ წესდებას, აქვთ ერთობა, ანგარიშს თავის დროზედ ასწორებენ, სამუშავრის ნიხრს ყოველ წლობით ადგენენ, ერთმანეთში პატივისცემა, სიყვარულით აქვთ და, რასაკვირველია, სადაც ერთობა და სიყვარულია, იქ ყოველ საქმეს კეთილი ბოლო და შედეგი მოსდევს. ჩვენს ბათუმის მუშათა არტელში-კი დაარსებიდან მუდამ შუღლია, აყალ-მაყალი, ლანძღვა-გინება, უთანხმობა სუფევდა და სუფევს დღესაც.

თორმეტი წელიწადია, რაც ეს ჩვენი არტელი არსებობს და ერთი საანგარიშო ცნობა არ გაგზავნილა სამინისტროში, თანახმად წესდების 67 მუხლისა. დაარსებისას არტელს 8,000 მანეთი ჰქონდა თანხა, ეხლა-კი 1500 მანეთი-ღაა და, რასაკვირველია, ამის შემდეგ რომ ჩვენის არტელის „პაი“ 30 მანეთი ღირდეს, ხოლო ტამოჟნის არტელისა 3,000 მანეთი!..

28 მაისს მოვიყარეთ თავი რამდენიმე არტელის წევრმა, მოლაპარაკების დროს, ჩვენისავე მოწვევით, დაგვესწრო ბ-ნი მიხეილ ალექსანდრეს-ძე თუმანიშვილი, რომელიც ჩვენის არტელის დიდი თანამგრძნობი არის და სულით და გულით უნდა, რომ არტელის საქმეები კარგს ნიადაგზედ დამყარდეს. ბ-ნმა თუმანიშვილმა მიჰმართა წევრთა კრებას შემდეგის სიტყვებით: „ძმებო, ხომ ჰხედავთ, რომ თქვენის უანგარიშობით, ეს თორმეტი წელიწადია, სულ ზარალში ეფლობით. აქ სჩანს თქვენში არის მტრობა, უთანხმობა და არა ერთობა, სიყვარული; ამისთვის სჯობს უსარგებლო და მავნე წევრი არტელისა გამოირიცხოს არტელიდან და იმათ მაგიერ, თანახმად წესდების 14 მუხლისა, ნამდვილი მუშები ჩაეწერონ არტელში; როცა ეს ცვლილება მოხდება, საზოგადოება გაიგებს, რომ არტელში ნამდვილი მუშები არიან, სამუშავო მოგემატებათ და ნდობასაც მოიპოვებთო. უამისოდ თქვენი არტელი დღეს ჰგავს მომაკვდავს სნეულს, რომელიც, თუ უექიმებთ — მორჩება, თუ არ უექიმებთ, — გადაიცვლებათო“.

ბ-ნ თუმანიშვილის სიტყვებმა ძალიან იმოქმედა „არტელშჩიკებზედ“. ისინი ამბობდნენ: თორმეტი წელიწადია სულ ზარალს ვითმენთ, მაგრამ მტრის ჯიბრის გულისთვის. გაუქმება არტელისა ფიქრადაც არ მოგვსვლია და არც გვინდა; ვისაც უნდა ჩვენი ძმობა და არტელის გაუმჯობესება, მხარში ამოგვიდგეს, თანახმად წესდებისათ; ხოლო ვინც არ თანაგვიგრძნობს და მეტი ბარგია, იმათ თავი დაგვანებონო. შემდეგ სიტყვიერად დავადგინეთ შემდეგი: დაიბეჭდოს მოსაწვევი ბარათები, სადაც აღნიშნული იქნება კრებაზედ გასახილველი საგნები და ის ბარათები გაეგზავნოს ყველა წევრს, რომელიც უნდა გამოცხადდეს კრებაზედ დანიშნულ დღეს. გარდა ამისა, განცხადება კრების თაობაზედ დაიბეჭდება გაზეთ „ივერიაში“, «ცნობის ფურცელში“ და „ჩერნომორსკი ვესტნიკში“. კრება გაიმართება მთავრობის ნება-რთვით და დაესწრება პოლიციის ბოქაული. ღმერთმა ჰქმნას, ეხლა მაინც ჰშველებოდეს ჩვენს არტელს.

აქ უნდა გაცნობოთ შემდეგიცა: ჩვენს, ბათუმის მუშათა არტელს ნება აქვს ბათუმის პორტში ყოველგან და ყველასთან აიღოს სამუშაო, ხოლო დამოჟნის არტელს-კი მარტო დამოჟნის სამუშაოს აღების ნება აქვს, მაგრამ დამოჟნის არტელმა ცოტა ფრთა გაშალა, ჯიბრში ჩაუდგა ჩვენს არტელს და „დობრავოლნი ფლოტის“ და «რუსეთის მეგემეთა საზოგადოების“ სამუშაოც აიღო.

ეს, რასაკვირველია, საზარალოა ბათუმის მუშათა არტელისათვის, რომელიც თავის მხრივ ეცდება, მუშაობის ნიხრი დაკლებულის ფასით შეადგინოს და პირ-და-პირ მიჰმართოს საზოგადოებათა მმართველობას და დიდ ფირმებს, რომელნიც, არა მგონია, მოხარულნი არ დარჩნენ ფასების დაკლებით და ამის გამო სამუშაო არ მისცენ ჩვენს ბათუმის მუშათა არტელს.

სპირიდონ ხვიჩია.

პატარა დღესასწაული

(წერილი ახალციხიდგან)

ახალციხის საქალებო სკოლას, წარსულ კვირას, თიბათვის ორს, დღესასწაული ჰქონდა.

ჩვენი თავი რომ ჩვენ ხელთ იყვეს, შეიძლება, არც-კი მომეწერა ეს წერილი, მაგრამ ვინც „დადებულის მესხეთის“ ამბები იცის, ის უეჭველად არ დამემდურება და დამეთანხმება, რომ ორ თიბათვეს გადახდილი დღესასწაული ნამდვილი დღესასწაული იყო აქაურ მისუსტებულ ქართველობისათვის.

აღნიშნულ დღეს სკოლამ პატივი სცა რუსეთის გამოჩენილ მგოსანს ვ. ა. ჟუკოვსკის. ამავე დღეს წლიური აქტი იყო დანიშნული ვრცელი საკლასო დარბაზი სავსე იყო მოწაფეებით და მათის მშობლებით. დარბაზის სამკაულს შეადგენდა ხატი, ხელმწიფისა და ჟუკოვსკის სურათი, მშვენივრად შემკობილი მოწაფეთაგან ხვავულ ყვავილებით. სკოლის მასწავლებელმა — მოძღვარმა ქართულად პანაშვიდი გარდაიხადა ჟუკოვსკის სულის მოსახსენებლად. ამის შემდეგ სკოლის გამგემ ქართულადვე უამბო შეკრებილ საზოგადოებას ჟუკოვსკის ბიოგრაფია და მისი პოეზიის მნიშვნელობა. მოწაფეთა გუნდმა თვისისავე მასწავლებლის ლოტბარობით მოხდენილად იმღერა ხუთი სახალხო ქართული სიმღერა. მოწაფეებმა კიდევ სთქვეს ჟუკოვსკის რამდენიმე ლექსი რუსულად და აგრეთვე წაიკითხეს ზეპირად ქართული საუკეთესო მგოსანთა ლექსები.

---

*) კვდებოდა და ყელი გამოსჭრეს.

უვარგისობის აზრის გასავრცელებლად და ამასთანავე ახალი სარწმუნოების, პროტესტანტიზმის დასამყარებლად. სწავლითა და განათლებით დაწინაურებულებმა, იმათ, ვინც ბრბოს ამგვარი პსიხოლოგიური მდგომარეობა შეიგნეს, კიდეც ისარგებლეს ამ გვარ იშვიათის შემთხვევით და დაიწყეს ქადაგება თავისის რწმენისა. დადგა ევროპაში ხანა სხვა-და-სხვა ახალ რწმენისა, ეკკლესიის რეფორმისა. ლიუტერი გერმანიაში, კალვინი საფრანგეთში, ქიშკა ბოჰემიაში, ცვინგლი სამხრეთ-გერმანიაში და სხვანი დიდის თავ-განწირულობით ჰქადაგებდნენ ახალს რწმენას-პროტესტანტიზმს...

საფრანგეთში კალვინის რწმენამ ძალიან გაიდგა ფესვი. მიუხედავად ბევრგვარის ზომისა, რომელიც იხმარეს პაპმა და კათოლიკებმა, კალვინისტების რიცხვი ისე გამრავლდა, რომ თითქმის ორი მესამედი საფრანგეთისა კათოლიკობას გადაუდგა და კალვინიზმი ირწმუნა.

კალვინი, ბუნებითვე იშვიათის ჭკუითა და ნიჭით შემკული, სასტიკის ხასიათისა იყო. არამც თუ სხვას, თავის თავსაც სასტიკად ექცეოდა. დაადგა-რა იმ აზრს, რომ ზნეობისა და სარწმუნოების დაცვას აბრკოლებს სიამოვნება და მისი აყოლაო, არც ერთხელ თავის სიცოცხლეში გვერდი არ აუხვევია ამ თავის შეხედულობისათვის და სოფლის სიამეთ არ გასტაცვინებია. არამც თუ თეატრი, არამედ არავითარი სიამოვნება არ სუფევდა მისთვის ქვეყანაზე. მუდამ ჩაფიქრებული, უაზროდ არაფრის ჩამდენი, მაგარის ხასიათისა და იშვიათის ზნეობის პატრონი, კალვინი წარმოადგენდა გასაოცარ არსებას. ათასი დაბრკოლება რომ გადაჰღობებოდა, ის თავის აზრსა და გადაწყვეტილებას აუცილებლად აასრულებდა. მის სიცოცხლეში არ ყოფილა მაგალითი, რომ თავისი გადაწყვეტილება არ აესრულებინოს. ძნელი სათქმელია, ამბობს მისი ბიოგრაფი,*) რისგან უფრო წარმოსდგებოდა ეს გარემოება: ხასიათის გასაოცარ სიმტკიცისაგან, თუ მისის დიდის ჭკუისაგან. ორივე: ჭკუა და ხასიათი, მის აგებულობაში ისეთ ჰარმონიაში იყო, რომ ამ მხრივ მეორე მაგალითი ისტორიაში ძნელი მოსაძებნია.

კალვინის რელიგიურ რწმენასაც სასტიკობის ნიშანი ადევს. როგორც ცვინგლიმ და ლიუტერმა, კალვინმაც მის მიერ დაარსებულ ეკკლესიიდგან განდევნა ხატები, ორგანიონი, გალობა და ყოველივე ის, რაც უშლის კაცს ამაღლდეს თავისის აზრით იმისაკენ, ვისკენაც უნდა იყოს მიქცეული მლოცველი თავისის გონებით. უფალს ღმერთს წინადვე გადაწყვეტილი აქვს ზოგისათვის სამუდამოდ ტანჯვა, ხოლო სხვებისათვის ნეტარება. ამ გადაწყვეტილებას (praedestinatio) ვერავინ ვერ წაუვა, რადგანაც კაცის ნება-სურვილზედ არ არის დამოკიდებული მისი მოქმედება: რაც სურს უფალს, ის ასრულდება და კაციც იმიტომ არის გაჩენილი, რომ უფლის სურვილი აასრულოს. ხოლო ვისთვის რა მიუსაჯნია ღმერთს, ამის გაგება კაცს არ შეუძლიან. ერთად-ერთი სახსარი აქვს კაცს, ისიც მხოლოდ მისახვედრად ამისა და არა გასაგებად, რადგანაც ყოველივე, რასაც მოიქმედებს კაცი, ღვთის ბრძანებით ხდება და, მაშასადამე, ღმერთს ასე ჰსურს, სჩანს, თუ კაცმა ცოდვა ჰქმნა, ღმერთს მისთვის ცოდვის ჩადენა გადაუწყვეტია და ამის გამო სამუდამოდ ტანჯვისათვის არის გაჩენილი. ხოლო ის არის ნეტარებისათვის გაჩენილი, რომელიც არ ჩაიდენს არასოდეს თავის სიცოცხლეში ცოდვას, იმიტომ რომ, თუ ნეტარებისათვის არ ყოფილიყო გაჩენილი, ცოდვას ჩაადენინებდა ღმერთი.

ეს არის ნიადაგი კალვინის რწმენისა, დაწვრილებით და სავსებით აღნილი მის გენიოსურს თხზულებაში „institutio religionis christianae“-ში. რა თქმა უნდა, ამ სარწმუნოებას დიდი გავლენა ჰქონდა კაცზე და თავისებურად მომართა მისი მოქმედება. კალვინიზმმა გააუქმა კაცის მოქმედებაში მისი თაოსნობა: კაცი მანქანის მზგავსს ქმნილებას წარმოადგენდა, რომელსაც წინადვე ჰქონდა დაწესებული გეგმა მომავალ მოქმედებისა. ამგვარი სარწმუნოება საზოგადოებისათვის მეტად სახიფათო იყო: კალვინისტებს შეეძლოთ სრულიად მიეტოვებინათ ზრუნვა თავის საჭიროებისათვის და ინსტიქტიურად მისცემოდნენ იმის აღსრულებას, რაც ფიქრში მოუვიდოდათ. დიაღ, ეს ადვილად შესაძლო იყო, ხოლო კალვინის იღბალზედ ის დრო ისეთი დრო იყო, როცა ყველა კალვინისტს კალვინზე არა ნაკლებ სწადდა, რომ კალვინიზმს ყველა სარწმუნოებაზე უკეთ აესრულებინა თავისი დანიშნულება და ამ სარწმუნოების შემწეობით კაცის საზოგადო ცხოვრება პატიოსნებასა, კაცთმოყვარეობასა და სიმართლეზე დამყარებულიყო. ამის დაგვარად თვით ცხოვრებამ შეჰქმნა კალვინიზმი და გამოიწვია ის პრაქტიკული შედეგი, რომელიც ახასიათებს კალვინისტების ანუ ჰუგენოტების, როგორც კალვინისტებს ეძახდნენ, საზოგადო ცხოვრებას. კალვინისტები ხასიათით ძალიან დაემგვანენ თვითონ კალვინს. იმასავით ჩაფიქრებული, პატიოსანი, ზნე-შეურყეველი კალვინისტი, ხასიათით ძალიან მაგარი და მოუდრეკელი იყო. კაცთ-მოყვარე, სხვისთვის თავდადებული, ის ბატონი იყო თავის სიტყვისა და არა-რა ტანჯვას არ ერიდებოდა თავის სიტყვის ასასრულებლად. სიამოვნება არ მიიზიდავდა და ამ მხრივ მისი ღვთისნიერი ცხოვრება მეტად განირჩეოდა ზნე-დაცემულ კათოლიკეთა ცხოვრებისაგან. კათოლიკებს ვერც-კი წარმოედგინათ კაცის ცხოვრება უსიამოვნებოთ და ამიტომ კალვინისტები მიამზგავსეს ვიღაც ჟენევაში მცხოვრებ ჰუგას, რომელსაც თურმე დაღრეჯილი და დაღვრემილი პირისახე ჰქონოდა, რის გამოც, ზოგის აზრით, კალვინისტებს დაცინვით ჰუგენოტები დაარქვეს.

საფრანგეთის კაროლს, ჰენრიხ მე-II-ს, შიშის ზარი დასცა მის სახელმწიფოში პროტესტანტიზმის გავრცელებამ. შატობრიანიდგან გამოსცა მან ბრძანება (ედიქტი), რომლითაც სასტიკად აუკრძალა ფრანგებს კალვინიზმის რწმენა. მაგრამ, მიუხედავად ამისა და ბევრ სხვა ედიქტებისა, პაპი პავლე მე-IV რჩევით საზიზღარ სასჯელის—ინკვიზიციის— შემოღებისაც-კი, კალვინიზმმა საფრანგეთში ძალიან გაიდგა ფესვი. მდაბიო ხალხს, საშინელ სიღარიბეში ჩავარდნილს, არა სცალოდა კალვინიზმისათვის. კალვინისტების რაზმი შესდგა, უმეტეს ნაწილად, იმათთაგან, ვინც შეძლებული იყო. თითქმის მთელი აზნაურობა—ეს განათლებული ნაწილი საფრანგეთისა, ძველ ბრწყინვალე ფეოდალების ჩამომავალნი, ხოლო დღეს პარლამენტის წევრნი, მსაჯულნი, ვექილნი, ექიმნი და სწავლით დაწინაურებულნი—კალვინისტები იყვნენ.

თუმცა ჰენრიხი II მეტად განრისხდა კალვინისტების წინააღმდეგ, მაგრამ კალვინისტები უშიშარნი გამოდგნენ და დაუმალავად ავრცელებდნენ ახალ რწმენას. ჰენრიხის სიკვდილს შემდეგ, საფრანგეთის კაროლათ გახდა მისი შვილი ფრანცისკ მეორე, კაცი მეტად სუსტი, არამც თუ აგებულობით, არამედ ხასიათითაც. თავის სისუსტის გამო, ფრანცისკმა სახელმწიფოს მართვა ჩააბარა თავის ცოლის, მარია სტუარტის ბიძებს, გვარად „გიზებს“. საფრანგეთის ძველ აზნაურებს არ მოსწონდათ ეს უცხოეთიდან მოსული „გიზები“ და მტრულის თვალით უყურებდნენ იმას, რომ კაროლმა გიზებს ჩაუგდო ხელში სახელმწიფოს მართვა. გიზებმა დიდის სასტიკობით დაუწყეს კალვინისტებს დევნა. ამითი იხელმძღვანელეს პრინცმა კონდემ ბურბონმა და ადმირალმა კოლინიმ. უკანასკნელებმა მიიღეს კალვინიზმი და ააჯანყეს კათოლიკეთა წინააღმდეგ. ასტყდა ბრძოლა კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორის. ბრძოლამ დიდი ხანი გასტანა. კალვინისტებმა შეადგინეს რამდენჯერმე შეთქმულობა: უნდოდათ კაროლის დაპატიმრება და გიზების განდევნა, სახელმწიფოს მართვა ბურბონებისათვის, კალვინისტების მომხრეთათვის, უნდა ჩაებარებინათ.

ფრანცისკის მემკვიდრის, კაროლს მე-IX-ს დროს რამდენჯერმე შეიცვალა ჰუგენოტების მდგომარეობა სახელმწიფოში. კაროლის ედიქტები ხან აუკრძალავდა კალვინისტებს, ხან ისევ ნებას აძლევდა თავიანთი სარწმუნოება დაუბრკოლებლივ ეღიარებინათ. ასე მიმდინარეობდა ჰუგენოტების საქმე სენ-ჟერმენის ზავამდე, როცა ყველას საფრანგეთში ნება მიეცა ერწმუნა ის სარწმუნოება, რომელიც სურდა. ამ ზავის შემდეგ ჰუგენოტების საქმე მშვენივრად წავიდა და კაროლის დედის, ეკატერინე მედიჩის ქომაგობის გამო ჰუგენოტებმა ჩაიგდეს კაროლი ხელში და კათოლიკეთა წინააღმდეგ აღამხედრეს. კათოლიკებმა ვერ მოითმინეს ეს მათი დამცირება და აჯანყება მოახდინეს. ღამის ორ საათზე, წმინდა ბართლომეს დღეს, დაჰკრეს ნაღარა და დაეცნენ ჰუგენოტებს. მოხდა საშინელი ერთმანეთის ამოხოცვა. გამხეცებულ კათოლიკეთა მძვინვარებას არა ჰქონდა საზღვარი. ამო

---

*) კამპშულტე.

დასასრულ, კურს-დამთავრებულ მოწაფეთ დაურიგეს მოწმობანი.

ამ ჟამად სასწავლებელს ჰყავს 120 მოწაფე ქალი. აქედგან 102 ოთხ განყოფილებაშია და 18 დამატებითს განყოფილებაში, სადაც სწავლობენ მხოლოდ ხელ-საქმეს და ჭრა-კერვას.

სწავლა დაამთავრა ჩვიდმეტმა ბავშვმა, მათი გვარი და სახელი ესაა: 1. აკოფაშვილი ანნა; 2. გეორგაძე გაიანე; 3. გეორგაშვილი ნინო; 4. რაბიშვილი სოფიო; 5. თუმანიშვილი ელენე; 6. ისკანდარაშვილი ქრისტინე; 7. კოზლოვსკაია კონსტანცია; 8. კაპერცკაია ანნა; 9. კაზანჯევი მარიამი; 10 რუდოვსკაია ელენე; 11. საუროვი მართენა; 12. ყარაგეზაშვილი ქრისტინე; 13. ხითარაშვილი ანნა; 14. ხარიმჯარაშვილი მარიამი, 15. ჩილინგარაშვილი ანნა; 16. ჩილინგარაშვილი სოფიო და 17. შარაპჩიაშვილი სალვინაზი.

ამ ჩვიდმეტ კურს-დამთავრებულში მართლმადიდებელია მხოლოდ საუროვი, ტომით ბერძენი; შარაპჩიაშვილი სარწმუნოებით მაჰმადიანია, ტომით ქართველი; კაზლოვსკისა, კაპერცკისა და რუდოვსკისა ტომით პოლონელნი, სარწმუნოებით რომის კათოლიკენი. დედანი ამ სამის ბავშვისა ქართველნი კათოლიკენი არიან და ამის გამო მათი ღვიძლი ენა ქართულია. რუსულს ისევე ვასწავლით, როგორც ქართველ ბავშვებს. დანარჩენი თერთმეტი ბავშვი ტომით და ჩამომავლობით ღვიძლი ქართველები არიან, ხოლო სარწმუნოებით სომეხ-კათოლიკეთა აღსარებისა. თქმა აღარ უნდა, რომ საუროვისამ და შარაპჩიაშვილმა ქართული ქართველებივითვე იციან.

დამეთანხმებით, რა სახალისო უნდა იყოს მუშაობა ამისთანა სკოლაში. იმასაც მიხვდებით, თუ რა განსაკუთრებული ელფერი და მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს დღესასწაულს, შორიდგან პატარას, მაგრამ ახლოდან დიდ-მნიშვნელოვანს.

ახალციხის საქალებო სკოლა დიდებული და წარუხოცველი ძეგლია განსვენებულის ანნა ბესარიონის ასულის მუსხელაშვილისა, სკოლის დამაარსებელისა და სულის ჩამდგმელისა. ამ სკოლის მაცქრალს მაკვირვებს და მაოცებს, როგორ გაითვალისწინა განსვენებულმა ანნამ, თუ რა მნიშვნელობა ექმნებოდა სკოლას მესხეთისათვის, სადაც მკვიდრი უცნაურად გადუნათლავთ და უწოდეს ზოგს „თათარი“ და ზოგს კიდევ „სომეხი“.

აქ სამწუხარო მხოლოდ ერთია. სკოლას სავსებით ფრთა ვერ გაუშლია უსახსრობის გამო. ეს რომ არ იყოს, მისი მადლი ერთი ათად ძლიერი იქმნებოდა.

წელიწადში სკოლას სჭირდება თითქმის 1300 მ. ამოდენა ფულის შეკრება-კი გადატაკებულ მესხეთში სახუმარო საქმე არ არის.

ა. ფრონელი.

კავკასია

საქციონერო საზოგადოება „ი. გ. თუმაევი“ ამ დღეებში ინგლისელების ხელში უნდა გადავიდეს 3 მილიონ მანეთად. შუა-კაცი, რომელმაც ეს საქმე მოახერხა, იღებს 300 ათას მანეთს. საზოგადოების მოხელეთა სასარგებლოდ გადადებულია 30 ათასი მანეთი.

რუსეთი

ჩვენ გუშინწინდელს ნომერში დაბეჭდილი გვქონდა, რომ ავსტრ-უნგრეთში ერთმა 13 წლის გიმნაზიელმა თავი მოიკლა, როცა ბურების თავისუფლების მოსპობა გაიგო.

ამ ამბავმა შემდეგი მწარე ფიქრები აღუძრა „Нов.“-ის თანამშრომელს ოლფს:

„ახირებული და საკვირველი ბავშვი! ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ახირებული და საკვირველი-კი არა, მხოლოდ წრფელი და ხალხის მითქმა მოთქმის დამჯერე—ისეთი ბავშვი, როგორიც უნდა იყვეს მუდამ ყოველი გამოუქნელი, გულ-ახდილი ყრმა.

ეს ბალღი საუცხოვო მაგალითია წრფელისა და თავისებურ თანაგრძნობით გატაცებისა სამხრეთ-აფრიკის უსამართლო ომით.

„ვერ ვუმტყუნებ თქვენს ბაირაღს და თქვენს თავისუფლებასთან ერთად ჩემს სიცოცხლესაცა ვსპობო!“

საბრალო ბალღს სიცოცხლედ დაუჯდა ის პირმოთნე თანაგრძნობათა გამოცხადება ბურებისადმი, რომელიც მთელს ევროპას კიდით-კიდემდე აღელვებულ ზღვასავით აბობოქრებდა, მაგრამ, თითქოს უხილავმა სულმა მოაჯადოვა ყოველივეო, გაისმა ხმა სიმდაბლისა, ცრუმეტყველებისა და ამაო სიბრძნისა ზავის ჩამოგდების შესახებ.

დიაღ! ჩინებული და მოულოდნელი ზავი გახლავთ პოლიტიკანურ ევროპისათვის თვისის განსაკუთრებულის პირობებით.

როგორც-კი შეიკრა შუბლი ბრიტანიის ლომმა და მრისხანედ შეჰგრგვინა ევროპას: „გაჰკმინდე ხმა, თორემაო“... ევროპამაც კუდი ამოიძუა და განაცხადა: „მე რა დარდი მაქვსო“, მხოლოდ კარიკატურების ჩხაპნას გაუსვა ხელი და ცბიერად გაიძახოდა: „ელეტენ ინგლისელებს! ყოჩაღ, ბურებო! ბურები რაინდები არიან“!

პატარა ერი ილაჯს იწყვეტდა ბრძოლაში. ბურთა სისხლი უმოწყალოდ იღვრებოდა ერთი ასად უფრო ძლიერ მტერთან ბრძოლაში და გამარჯვების იმედი-კი არსაიდგან იყო.

ევროპამ-კი თავი მოიყრუა, თითქოს ვერა ჰხედავდა, რომ ეს ბრძოლა ბურებისათვის ფუქად ჩაივლიდა, თუ თვით არ ჩაერეოდა საქმეში და მხოლოდ იმას გაიძახოდა:

„რა მამაცნი არიან ბურები, რა გმირები! და რა საძაგელი ხალხია ინგლისელნიო!

ბოლოს დარწმუნდა პატარა ერი, რომ კარგს ბრძოლას ისევ ცუდი ზავი სჯობიაო. ამაოდ რჩებოდა დახმარების ლოდინი, ხსნა არსით იყო და, ევროპას ბევრი ჰრილობის სახვევიც რომ ეგზავნა მათთვის სხვა-და-სხვა შემოწირულებასთან ერთად, მაინც ვერას გახდებოდნენ.

პატარა ერი გონივრულად მოიქცა, რომ ზავი ჩამოაგდო და ისიც საპატიო. დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო იმის შესამჩნევად, რომ ფარულმა ჯავრმა და უსიამოვნებამ მხოლოდ ეხლა იჩინა პოლიტიკანურ საზოგადოებაში თავი.

— „როგორ! ზავი ჩამოაგდეს? ჩვენ-კი გვეგონა, რომ“...

— რა გეგონათ? რომ ევროპის დაუხმარებლად ბურები სძლევდნენ ინგლისს? ან ისა, რომ მთელი ერი თავს დასდებდა ევროპის ტკბილი სიტყვებისათვის? ან კიდევ ის, რომ აი, ინგლისი, ძალა მიხდილი, იარაღს დაჰყრისო?

არა! ინგლისმა და მთელმა დასმა იმპერიალისტთა ჩემბერლენითურთ საუცხოვოდ დააგვირგვინეს თავისი საქმე მაშინ, როდესაც ევროპა მხოლოდ ოხრავდა და სიბრალულს უცხადებდა ბურებს...

ბურებმაც კარგად მოაგვარეს თავისი საქმე: დროით მიხვდნენ მტრის ძალასაც და ევროპის სიმუხთლესაც. დროით მიხვდნენ, რომ ევროპისაგან, გარდა „წითელის ჯვრის“ ორიოდე რაზმისა და ტკბილი სიტყვებისა, არას უნდა ელოდნენ; არც ისე გულ-უბრყვილონი არიან, რომ ამას ვერ მიხვედრილიყვნენ და დაუთმეს ძალას!

გულ-უბრყვილო მხოლოდ ის იყო, ვინც გაზეთებს უჯერებდა; ჩვენ დროს-კი გულ-უბრყვილო მხოლოდ ბავშვია!

„ვერ ვუმტყუნებ თქვენს ბაირაღს და თქვენს თავისუფლებასთან ერთად ჩემს სიცოცხლესაც ვსპობო»!

საბრალო, გულ-უბრყვილო და წრფელო ბავშვო! როგორ ეხამუხება ეს მკვახე და ახირებული ხმა ევროპის ზნე-დაცემულ პოლიტიკოსთ, რომელთაც დიდი ხანია შეაჩვიეს ყური კვნესას, ცრემლებს, წყევა-კრულვას, პირმოთნე მეგობრობას და კიდევ უფრო პირმოთნე მტრობას“.

უცხოეთი

კიპრი. „Messager d' Atlenes“ იუწყება, რომ კიპრის ამბებს საზოგადოებათა პალატამ მთელი ორი საათი მოანდომაო. ჩემბერლენმა განუცხადა თავისი აზრი დეპუტატებს, რომელთაც ჰსურდათ კიპრის საბერძნეთთან შეერთება, რომ ეს შეერთება ჯერ-ჯერობით შეუძლებელიაო; მაგრამ თავისი აზრი მან ყოვლად უსაფუძვლო საბუთებზედ დაამყარაო. მისი სიტყვა მთლად სავსე იყო შეცდომებითა და სიყალბით, რითაც მეტად გულ-დამწვარნი არიან და ცხარობენ თვით საბერძნეთის ინგლისის მოყვარე გაზეთებიც-კი.

ავსტრ-უნგრეთი. პრაგიდგან სწერენ გაზეთ „Information“-ს 14 თიბათვეს:

„მთავრობისა და ახალგაზდა ჩეხების საპარლამენტო კომისიის შეთანხმებამ თვით ზომიერ ახალგაზდა ჩეხების წრეებშიაც-კი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. არაა კმაყოფილი არც აგრარიების რადიკალთა ნაწილი, რომელნიც აპირებენ ამ საკითხის აღძვრას ლანდტაგის საკრებულოში—საცა მათ საკმაო გავლენა აქვსთ—რათა ზიანი მისცენ ზომიერ დასის მეთაურთ—კუბრს და პრაჟეკს. მათ გაახსენეს ვენის დელეგატებს, რომ რკინის გზის ბილეთებზე ბაჟის შემოღების პირობები საკრებულოს საერო კრებამ დაადგინაო და, მაშასადამე, მხოლოდ საერო კრებასვე ჰქონდა მათი შეცვლის უფლებაო.

ინგლისი. მიუხედავად იმისა, რომ სანუგეშო ამბებს იტყობინებიან, მეფის უქეიფოდ ყოფნა მაინც აღონებს საზოგადოებას. მეფე გაციებულა ოლდერ-შოტში ჯარების დათვალიერების დროს, სადაც კოკისპირულ წვიმასა და სიცივეში თავ-ღია პავილიონში იდგა. იმ ღამითვე აუტყდა წელის ტკივილი (lumbago), რომელმაც მეტად შეაწუხა იგი. მაშინვე მოუწოდეს მეფის ლეიბ-მედიკს ლეკინგს. გამოუწერა წამალი და დაარიგა, რომ მეორე დღეს გარედ არ გამოსულიყო. კვირა საღამოს მეფე თავს კარგადა გრძნობდა და გადასწყვიტეს, ბიულეტენებს ნულარ დავბეჭდავთო.

სტამბოლი. ეპისკოპოზის ფირმილიანის საქმე ეხლა სულ სხვანაირად დატრიალდა. ხონთქარმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფირმილიანი უსკიუბის მიტროპოლიტის ვიკარად ინიშნებაო და არა მიტროპოლიტადო. ოსმალებს უნდოდათ რუსეთისა და სერბიის საელჩოების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ, მაგრამ ბოლგარების გაჯავრებასაც მოერიდნენ; ამაზედ სერბებმა დიდი წინააღმდეგობა განაცხადეს; რუსებიც მათ მიემხრნენ. ელიან ახალ ბრძანებას, რომელიც დამატება იქნება პირველისა. ფირმილიანის კურთხევა სალონიკში მოხდება; სტამბოლს გამოწვევას ვერა ჰბედავენ; ეშინიანთ, რომ დიდი არეულობა მოჰყვება ამასაო.

— არქეოლოგ კოლდვეის ძველს ბაბილონიაში აღმოუჩენია ნაბუქოდონოსორის სასახლის ნაშთი და ბაბილონის გოდლის ნანგრევნი, რომელიც რვა სართულიდგან შესდგებოდა და ვაალის ბომონად იყო. კოლდვეიმ რამდენიმე წარწერაც აღმოაჩინა ნაბუქოდონოსორის დროისა.

ამერიკის შეერთებული შტატები. ჩრდ.-ამერ. შეერთებულ შტატებში შესდგა ახალი უუდიდესი ხომალდის საამშენებლო ამხანაგობა (ტრესტი). სხვათა შორის, ამ ამხანაგობამ შეისყიდა ყველა ქარხნები „Bethlehem Steel Company“-სა და ეხლა თავისუფლად შეუძლიან ააშენოს, როგორც „Times“-ს ატყობინებენ ნიუ-იორკიდგან, მთელი ჯავშნიანი გემები ყოველგვარ მოწყობილობით. ამ ამხანაგობის დაარსება ისეთი თვალსაჩინო მოვლენაა შეერთებულ შტატებისათვის, როგორიც იყო „ფოლადის ამხანაგობისა“. ეს ახალი ნაბიჯია არხი-მილიონერის „ტრესტთა შემქმნელის“ პირპონტ მორგანისა, რომელსაც დიდი ხანია სწადიან განახორციელოს ევროპასთან სამრეწველო მოცილეობის გეგმა.

ახალი ამხანაგობის ერთი დირექტორთაგანი—ნიკსონი აცხადებს, რომ ფოლადის სიძვირე ხელს ვერ შეგვიშლის, რათა სასარგებლო პირობებით ავიღოთ გემების აშენება ევროპის სახელმწიფოებისათვის.

სტამბოლი. „Paris Nouvelles“-ს სააგენტო იტყობინება, რომ ვენიდგან მოსულ ცნობებით სტამბოლში შეთქმულობა აღმოაჩინესო, რომელსაც ეხლანდელი ხონთქრის გადაყენება და მისის ბიძაშვილის, პრინცის საიდ-ედჰემის გამეფება უნდოდაო. პრინცი ედჰემი დაუპატიმრებიათ; შემდეგ რა მოხდა—არ იციან; 20-ზე მეტი მაღალ წოდების პირია დაპატიმრებული.

თეატრი და ხელოვნება

სოხუმი. ჩვენც გვეწვია ტფილისის ქართული დრამატიული დასი ვალერიან გუნიას მეთაურობით.

ძნელი წარმოსადგენია ის სასოწარკვეთილება, რომელშიაც ჩვენი მსახიობნი ჩავარდნენ: ამოდგეს თუ არა ფეხი ზღვიდამ, სოხუმს სულაც არ სცხელოდა ამ დღეს წარმოდგენებისათვის, რადგან ყველა გართული იყო საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობა-ბაზრობის საქმეში, რომელმაც ორი დღე გასტანა. იმედ-გადაწყვეტილმა დასმა დანიშნა პირველი წარმოდგენა კვირას, 2 ივნისს, იმ აზრით, რომ მეორე დღეს გულნატკენნი გაქცეულიყვნენ სოხუმიდამ, მაგრამ აი სად იჩინა თავი ჩვენის საზოგადოების გამოღვიძებამ! შესრულდა თუ არა ცხრა საათი, იმოდენა ხალხი მოატყდა კლუბის დარბაზს, სადაც წარმოდგენა იყო გამართული, რომ დასადგომი ადგილიც-კი არსად მოიპოვებოდა და ბევრი გულნატკენი უკან გაბრუნდა ულაგობის გამო.

წარმოადგინეს გუნიას მიერ გადმოკეთებული სოლოვიოვის 4 მოქმედებიანი კომედია „ძალა აღმართსა ჰხნავს“.

ძნელი წარმოსადგენია ის აღტაცება და ის სიცოცხლე, როგორითაც მსახიობებმა ამ საღამოს თავიანთი როლები შეასრულეს. ჩვენ ბევრჯელ გვინახავს ბ-ნ გუნიას თამაში, მაგრამ ასეთის მოხდენით და ასეთის გრძნობით მის თამაშს არასოდეს არ დავსწრებივართ. ზოგიერთს ალაგს ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზედ, რომ მამაკაცთაც-კი ქვითინი მორთეს, მაგალითად, იმ დროს, როდესაც დარწმუნდა, რომ „ტამოჩკა“ მას ცბიერად ატყუებს და ემდურის თავისს ბედს, რომ ასე შეუბრალებლად წააგებინა საქმე. საზოგადოებას აგრეთვე ძალიან მოეწონა ქალბატონი კარგარეთელი. ამ ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა ისე ბუნებრივად და თავისუფლად შეასრულა „ტამოჩკას“ როლი, რომ კაცს არა სჯეროდა, რომ რასაც უყურებდა, სცენაზე ხდებოდა და არა სადმე ნამდვილ ოჯახში.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ვინც ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს იცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ ის ცუდად არ ითამაშებდა და ეგრეც იყო, მხოლოდ ისეთს როლებში არ გამოსულა, სადაც შეეძლო მის ნიჭს ფრთა გაეშალა. კარგი იყო აგრეთვე მარნიშვილის როლში ბ-ნი ივანიძე.

ერთი სიტყვით, როგორც პიესა, ისე მისი შესრულება, ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ ყოველ ფარდის ჩამოშვებაზე გრგვინავდა დარბაზი და დასასრული არა ჰქონდა ვაშას ძახილს, ტაშის ცემას.

მართალია-და ეს პიესა ძალიან შინაარსიანია და ნამდვილ ახლანდელ დროისათვის ზედგამოჭრილი, მაგრამ ზოგიერთი ტიპები მისი

ხოცეს ბავშვები, დედა-კაცები—ყველა, ვინც მოხვდათ. მარტო პარიჟში იმ ღამეს ათი ათასამდე კაცი იყო მოკლული. ეს, ისტორიაში ბართლომეს ღამედ წოდებული, ერთმანეთის ამოჟლეტა დაბოლოვდა შეთანხმებით, რომლითაც სამს ქალაქში: მონთობანს, ნიმსა და ლაროშელში ჰუგენოტებს მიეცათ ნება სარწმუნოების აღვიარებისა, ხოლო სხვაგან-კი აეკრძალათ. ამას შემდეგ კიდევ რამდენსამე ხანს გასტანა ჰუგენოტების და კათოლიკეთა ერთმანეთთან ბრძოლამ და, როცა საფრანგეთის კაროლად გახდა ჰენრიხ ნავარიელი, მომხრე ჰუგენოტებისა, ჰუგენოტებს ნანტის ედიქტით 1598 წ. მიეცათ ნება ყველგან თავისუფლად ეღიარებინათ სარწმუნოება. ამ ჰენრიხ მე-IV შემდეგ, მისის მემკვიდრის, ცხრა წლის ლუდოვიკო მე-XIII დროს, როცა სახელმწიფო საქმეებს განაგებდა გამოჩენილი კარდინალი რიშელიე, ჰუგენოტები თავისუფლად გრძნობდნენ თავს და მათ ხელს არავინ ახლებდა.

ხოლო როცა ლუდოვიკო მე-XIII გახდა სრული წლოვანი, მან ჰუგენოტებს დაუწყო დევნა. მისმა მემკვიდრემ, ლუდოვიკომ მე XIV-მ ძალიან შეიჯავრა ჰუგენოტები და მათ ისევ დაუბრუნდათ ძველი დრო ტანჯვა-ვაებისა. ჭკვიანი სახელმწიფო კანცლერი კოლბერი იკავებდა ლუდოვიკს და იმის კანცლერობის დროს კიდევ როგორც იყო სული ედგათ ჰუგენოტებს. ხოლო კოლბერის სიკვდილის შემდეგ ჰუგენოტებს სულმთლად დაუბნელდათ მზე და სულ შეხუთულები ძლივს ღა ასწრობდნენ თავი დაეხწიათ იმ საშინელ ტანჯვისათვის, რომელიც მიაყენა მათ ლუდოვიკოს მრისხანებამ. კაროლმა ლუდოვიკომ მე-XIV-მ გადასწყვიტა, რომ საფრანგეთში ყველა მისი ქვეშევრდომი კათოლიკის სარწმუნოებისა უნდა იყოსო და ეს მისი გადაწყვეტილებაც, როგორც საზოგადოდ ყველა მისი სურვილი, იმდენად შეურყეველი იყო, რომ ყოველ გვარს საზიზღარ ზომას მიჰმართა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად.

ჰუგენოტებს აეკრძალათ სახელმწიფო სამსახურში შესვლა; მათ ნება არა ჰქონდათ ვექილობისა, ექიმობისა, ნოტარიუსობისა... ასე წარმოიდგინეთ, ვაჭრობაც-კი არ შეეძლოთ. ამის გამო საუკეთესო ნაწილს საფრანგეთისას, იმათ, ვინც განათლებულნი იყვნენ და სხვებზე ბევრად დაწინაურებულნი, ვერ შეეძლოთ ქალაქში რაიმე საქმის დაჭერა და ეს გავარჯიშებული ექიმები, ვექილები, მსაჯულები და სხვანი უნდა გასულიყვნენ სოფლად და მეურნეობით ეცხოვრათ. ეს კიდევ რაა?! ჰუგენოტებს დაუნგრიეს მათი საყდრები და აუკრძალეს წირვა-ლოცვა. ესენიც საყდრების უქონლობის გამო სადმე მიყრუებულ ადგილას იკრიფებოდნენ და იქ ლოცულობდნენ. კაროლმა, შეუტყო თუ არა ეს ამბავი, გასცა ბრძანება, ყველა, ვისაც-კი შეუტყობდნენ, პროტესტანტულად ლოცულობსო, სიკვდილით დაესაჯათ. ამას გარდა ჰუგენოტებს ყოველ ღონისძიებით საცხოვრებელ სალსარს უქრობდნენ. არ შეარჩინეს არც მიწა, არც საქონელი და ამ მამა-პაპეულს მათს ქონებას კათოლიკებს ურიგებდნენ გასაფლანგავად. ლუდოვიკოს სასტიკობა იქამდისაც-კი მივიდა, რომ ჰუგენოტებს, მისის ბრძანების ძალით, უნდა წართმეოდათ ცოლი და შვილები. „თუ გამოდგა ისეთი ჯიუტი, რომ ყველა ამის შემდეგაც თავი არ დაანება კალვინიზმს, ცეცხლზე დასწვითო“, ამბობდა მრისხანე ედიქტი ლუდოვიკოსი. რასაკვირველია, ძნელად გაუძლებდა ვინმე ამ ჯოჯოხეთს და თავის სარწმუნოებას-კი არა, უფრო თუ შესაძლო იყო, წმინდა რამესაც-კი მიატოვებდა, მაგრამ ჰუგენოტები ის კალვინისტები იყვნენ, რომელნიც არა-რა ტანჯვას არ დაერიდებოდნენ თავიანთ რწმენის დასაცველად. რა იყო კალვინიზმი და სადამდის გაიტაცა ამ სარწმუნოებამ კაცის არსება, სხვათა შორის, კარგა გვისურათებს შემდეგი ფაქტი. თერთმეტის წლის განმავლობაში საფრანგეთის, იმ პროვინციებში, საცა ჰუგენოტები ცხოვრობდნენ, ათი, რვა წლის და უფრო ნაკლების ხნის ყმაწვილები მქადაგებლებად გადაიქცნენ. ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ ეს „პატარა წინასწარმეტყველები“, როგორც მათ უწოდეს და ჰუგენოტებს უწინასწარმეტყველებდნენ „ბაალის შემუსვრას, მტარვალთა ამოწყვეტას და ისრაილის განთავისუფლებას“. ეს პატარა ბავშვები ერთის კვირას და ზოგჯერ მეტის ხნის განმავლობაში არაფერს სჭამდნენ და თითქმის შიშველ ტიტვლები დადიოდნენ და აიმედებდნენ ჰუგენოტებს. ბოლოს მათვე გაავრცელეს დაქანცულ ჰუგენოტებ შორის აჯანყების აზრი და ურჩევდნენ დიდებს ხელში თოფები აეღოთ და თავი განეთავისუფლებინათ მტარვალებისაგან. ბავშვების სიტყვამ იმოქმედა და, როგორც შემდეგში ისტორია გვემოწმება, ჰუგენოტებმა მიუხედავად იმ საშინელ უძლურებისა, რომელშიაც ჩააგდო ისინი ლუდოვიკო მე-XIV-მა, საშინელი აჯანყება მოახდინეს საფრანგეთის ზოგიერთ კუთხეში. ჰუგენოტებს, იმ საშინელებაში ჩავარდნილთ, რომელიც არგუნა მათ მათმა შავმა ბედმა, ერთი-ღა დარჩენოდათ: ძალა უნებურად უნდა მიეტოვებინათ თავისი საყვარელი სამშობლო და გადასახლებულიყვნენ იქ, საცა შეეძლოთ თავიანთი სარწმუნოება დაეცვათ. ხოლო მათ საუბედუროდ, ლუდოვიკომ ამის ნებაც-კი არ მისცა ჰუგენოტებს. კაროლმა ჯარი შემოარტყა მთელს საფრანგეთს და შეუკრა ჰუგენოტებს საზღვარ გარედ გასავალი გზები. მაგრამ ადვილი არ იყო ჰუგენოტის გადაწყვეტილებასთან ბრძოლა. ჰუგენოტი ან უნდა შეჰკვდომოდა მტერს, ან თვისი აესრულებინა. ის იძულებული გახდა საშინელის კოდვისათვისაც-კი მიემართა და ქურდულად გაქცეულიყო საფრანგეთიდგან, ამ თავის უძვირფასეს სახელმწიფოდგან, თავის მამა-პაპის ფეოდალურ ციხე-დარბაზებიდგან, გაჰშორებოდა გამოუმშვიდობებელი თავის ძმებს, მოყვრებს, შვილებს!...

ამ დიდს უბედურობაში დიდი შველა გაუწიეს მათ ჰოლლანდიელებმა. ჰოლლანდიელები ჩუმად ჩაისხამდნენ ხოლმე ჰუგენოტებს ხომალდებში და გააპარებდნენ. ამ გვარად მალული გაქცევა სამშობლოდან ჰუგენოტებისა მეტად გულ-საკლავს სურათს წარმოადგენდა: ღამის წყვდიადში ძლივს-ღა ისმოდა აქა-იქ აჩქარებული ფეხის ხმა და ყმაწვილების ხმაურობა: შავებში ჩაცმულებს დედ-მამას ხელში აეყვანათ წვრილ-შვილობა, ზურგზე ბოღჩები წამოეკიდათ, ის წვრილმანი, რაც გადარჩენოდა მდიდარ ფეოდალის ჩამომავალს, და ჩუმად გარბოდნენ ჰოლლანდიელების ხომალდებისაკენ. ამ აჩქარებულ ლტოლვის დროს ზოგი შიმშილით ღონე-მიხდილი ბავშვი და ყმაწვილი ვერ მისდევდა ფეხდაფეხ დედ-მამას, რჩებოდა უკან და სამუდამოდ ჰკარგავდა მათ. ყოველ ჰოლლანდიელის ხომალდის წასვლის შემდეგ ასტყდებოდა ამ ადგილებში ტირილი და თავში-ცემა. ბევრი მოხუცი და ახალგაზრდა დარჩა აქ უგზო-უკვლოთ მარტოდ-მარტო, ყველას და ყოველისფერს მოშორებული და ჩაუვარდა კათოლიკეთ ხელში. ხოლო ჰოლლანდიელთა ხომალდებს-კი იმ ბედნიერებს, რომელთაც მოასწრეს ხომალდში ჩაჯდომა, მიაქროლებდნენ შორს, იქ, საცა მოელოდა მათ ახალი სამშობლო, საცა ძმურის გრძნობით აღვსილნი კაპლანდიის მცხოვრებნი უმზადებდნენ მათ, ამდენის ვაებისაგან ტანჯულთ, დასასვენებელ ბინას.

ამ გვარად ვანდერ სტელის გუბერნატორობის დროს კაპლანდიაში გადასახლდა დიდძალი ჰუგენოტი. მე-XVII საუკუნის დამლევს ამ ახალშენში გადასახლებულ ჰუგენოტთა რიცხვი სამი ათასზედ მეტი იყო. დიდის ხნის ბრძოლამ თავის წმიდათა-წმიდის—სარწმუნოების დაცვისათვის ძალიან გაავაჟკაცა და გამოწრთვნა ჰუგენოტები. ეს უიმისოდაც ფეოდალური დროის გმირთა ჩამომავალნი—დიდის ხნის ბრძოლაში გავარჯიშებულნი, ნამდვილ გმირებს წარმოადგენდნენ. თუმცა კაი ხნის უბედურობამ მათ თავისი ბეჭედი დაასვა, მაგრამ მათის სარწმუნოების ზოგიერთი მხარე საკმარისი იყო იმისათვის, რომ დიდის ხნის შეკრული შუბლი ჰუგენოტისა ისევ გაშლილიყო და ახალის ხალისით და მხნეობით შესდგომოდა ბრძოლას, ხოლო იმგვარ საზიზღარ ბრძოლას-კი არა, რომელიც დასჭირდა კათოლიკებთან, არამედ კულტურულს ბრძოლას — ბრძოლას თვითარსებობისა და წინმსვლელობისათვის. ჰუგენოტს, დაიმედებულს, რომ იქ, სამხრეთ აფრიკაში მოიპოვებ თავისუფლებასაო, არც-კი ჰქონდა წარმოდგენილი, რომ კაცის თავისუფლებას იმდენი მტერი ჰყავს, რომ ბევრი ამ სიშორეზედაც წავიდოდა მის თავისუფლების მოსასპობად...

გაიარა ხანმა და ჰუგენოტები დაუმობილდნენ ჰოლლანდიელებს, დანათესავდნენ მათთან და ეს ორი ელემენტი სამხრეთ აფრიკაში გადმოსახლებულთა ისე შეერთდა, რომ ერთს განურჩეველს ტომს წარმოადგენდა.

გ. ი. გძელიშვილი.

(შემდეგი იქნება)

როგორღაც არ ეთანხმება ქართულს ცხოვრებას. მაგალ., ზაზა მარნიშვილი ბურჟუაზიულის წრის წარმომადგენელია, დიდის ქარხნების პატრონი, რომლებშიაც ათასობით კაცი მუშაობს და ჩვენ-კი ორიოდე გლეხიც არ მოგვეძევება, რომ ცოტა თვალსაჩინო შეძლება ჰქონდეს. ზაზას შვილი ვახტანგი, თუმცა ცოტა სწავლაც მიუღია და იქამდის დაახლოვებული ყოფილა არისტოკრატებთან, რომ გამოჩენილის ღენერლის და თავადიშვილის ქალს ცოლად თხოულობს, მაინც როგორღაც ვერ მოხეშილა და ისე ტლანქად იქცევა, რომ ზოგს კაბაზედ ფეხს ადგამს და კალთას აგლეჯს და ზოგს ჩაის ასხამს ტანისამოსზე. ჩვენი ხალხი იმდენად მახვილის ნიჭის პატრონია, რომ ჩქარა ითვისებს ზრდილობიანს ყოფა-ქცევას და ელფერს იცვლის ხოლმე, თუ-კი ჩავარდა მდიდრულს ცხოვრებაში, და ვახტანგს-კი რაღა მოსდის, იმ ვახტანგს, რომელიც თავის სულის ძლიერებით ბოლოს ყველაფერსა სძლევს და მაინც თავისი გააქვს?

საზოგადოების თხოვნით, გარდა ამ წარმოდგენისა, კიდევ ორი წარმოადგენა იყო გამართული: 3 ივნისს წარმოადგინეს „პირველი ბუზი" და 4 ივნისს დრამა „მსხვერპლი მსხვერპლისათვის". როგორც პირველი, ისე მეორე, მშვენივრად იქმნა შესრულებული; ყველა წარმოდგენაზე იმოდენა ხალხი ესწრებოდა, რომ ტევა არ იყო თეატრში.

უკანასკნელ წარმოდგენის გათავებისას საზოგადოებამ რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვა მსახიობთ და გაუმართა გამოსათხოვარი ვახშამი.

უცხო სურათს წარმოადგენდა დიდს მანძილზედ გაშლილი სუფრა, რომლის ერთ თავიდამ მეორეში გადადიოდა სადღეგრძელოები და სიტყვები, რისთვისაც ორი თამადა იყო არჩეული. სუფრას ამკობდნენ ჩვენი ცნობილი მომღერალი ბ-ნი კარგარეთელი და ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა მშვენიერის ქართულის სიმღერებით. ვახშამმა გასტანა დილის ხუთ საათამდე და ამ დროს ნავთ-სადგურში გემიც შემოვიდა და ვახშმის შემდეგ მთელმა ამ საზოგადოებამ გემამდის მიაცილა მსახიობნი და დაულოცა გზა.

მექი.

წერილი
რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ორიოდე სიტყვას ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მონდობილობით მე შევაგროვე ხიდისთავში რამდენიმე მანათი ვასო აბაშიძის იუბილეის გამო. ფული მაშინვე გავგზავნე დანიშნულებისამებრ და ანგარიში გავუგზავნე დასაბეჭდად „კვალს", მაგრამ არ ვიცი—რატომ ის იქ არ დაიბეჭდა. მოგეხსენებათ, რომ „Лучше поздно, чѣмъ никогда" და ამიტომ მე ვაცხადებ ეხლა შემომწირველთა სიას: გოგოლი ბერეჟიანისა—2 მანეთი, ოლღა ლორთქიფანიძე—1 მან., ტერეზია რამიშვილისა—50 კ., ანტონ რამიშვილი—50 კ., ალმასხან კალანდაძე—50 კ., ლავროსი კალანდაძე 50 კაპ., ელისე კალანდაძე—50 კ., ერმალო ფუცხიშვილი—50 კ., გ. ბერიძე—45 კ., ლადიკო კალანდაძე—20 კ., მ. ნინიძე—50 კაპ., სულ 7 მ. 15 კაპ. გასაგზავნი—15 კაპ., დარჩა შვიდი მანეთი. ზემოხსენებულ პირებს მე, ჩემდა-თავად, მადლობას ვუძღვნი.

მოსე ნინიძე.

II

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ორიოდე სიტყვა ვსთქვა დიდი-ჯიხაიშის წიგნთ-საცავ-სამკითხველოზედ. თუმცა თქვენი გაზეთის ფურცლებზე არა-ერთხელ დასტამბულა წერილი ჩვენის დაბა-სოფლების სამკითხველოების უნუგეშო მდგომარეობაზე, მაგრამ ზოგან საპატიო მიზეზებიც ყოფილა: თუ მკითხველების გულ-გრილობა სამკითხველოსადმი და თუ სხ...

აქ-კი არავითარ ამგვარ მიზეზებს ადგილი არა აქვს. ის კი არა, სამკითხველოს ბევრი გულ-შემატკივარიც გამოუჩნდა, რომლებიც მზად არიან შეძლების-და-გვარად ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინონ. მკითხველებმაც, წინა წლებთან შედარებით, შესამჩნევად იმატა. მაგრამ სამკითხველო მაინც არა-სასურველ მდგომარეობაშია, რასაკვირველია, გამგე-ბიბლიოთეკარის წყალობით. ეს დალოცვილები თითქმის ყოველ დღე ერთად არიან სამკითხველოში და არა თუ არა ფიქრობენ მის გაუმჯობესებას *), არამედ ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ ახალი ნომრები გაგვინთავისუფლონ იმ ვაჟბატონთაგან, რომელნიც ახლად მოსულ გაზეთის ნომრებს იტაცებენ და რომლებიც დადიან სამკითხველოში, საკითხავად კი არა, არამედ ნაცნობ-მეგობრების სანახავად და მათთან სამუსაიფოდ. დაინახავენ თუ არა ეს ვაჟბატონები ახალ ნომრებს, მაშინვე ბიბლიოთეკარის დაუკითხავად, ჯიბისაკენ აკრევინებენ თავს და გზას გაუდგებიან. ამათ თავ-ხედობას ხანდისხან ბიბლიოთეკარიც-კი ამჩნევს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს და რომ ჰკითხოთ, რატომ ახალი ნომერი არ არის, გიპასუხებთ: იმისთანა პატივ-საცემმა პირმა წაიღო, რომ ვერაფერი ვუთხარიო.

ნუ-თუ ასეთი თავის მართლება საბუთიანია? ერთი ვიკითხოთ, ის ვაჟბატონები, რომლებიც ბიბლიოთეკარს პატივსაცემ პირებად მიაჩნია, ნუ თუ ვერ გრძნობენ, რომ ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც სამკითხველოს მოსდის, ერთისა და ორის კუთვნილებას არ შეადგენს? სასურველია, რომ კრებამ, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს, მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას. არ იქნება ურიგო, ჩემის აზრით, გამგესაც აუხსნან, რომ მარტო გამგის სახელის ტარება-კი არ კმარა მისთვის, არამედ საქმიანობა და სამკითხველოს სასურველ ნიადაგზე დაყენებაც.

მკითხველი.

---

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სამკითხველო ნაქირავებ შენობაშია მოთავსებული და, თუმცა არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი საკუთარ შენობის შეძენის შესახებ, რისთვისაც ფულიც მზადა აქვთ, მაგრამ მაინც ეს საქმე ამ ბოლოს დროს მივიწყებას მიეცა.

ავტორი.

„ივერიის" ფოსტა:

ქქ—ლდი. ბ-ნს სტ. ბ-ს. თქვენი „დიახ, გოგია მართალია!" არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

11 ივნისი

პეკინი. ამერიკელი მისსიონერი კენრაიტი იუწყება დეპეშით ჩენგუტიდგან, სეჩუანის მაზრაში, რომ მეტოდისტების სამლოცველო იქ დაქცეულია და 10 ქრისტეანე მოკლული. ბოქსიორების მოძრაობა ვრცელდება.

ლონდონი. მეფე-დედოფალმა გაუმართეს საზეიმო სადილი სამეფო და სამთავრო სტუმრებს.

ლონდონი. მეფის ავადმყოფობის გამო გვირგვინის კურთხევის დღესასწაულები გადიდო განუსაზღვრელ დრომდე.

ლონდონი. ოფიციალური ბულეტენი. მეფე პერიტიფლიტით არის ავად*). შაბათს მეფე იმდენად კარგად იყო, რომ იმედი ჰქონდათ, გვირგვინის კურთხევა მოხდებაო, მაგრამ გუშინ მეფე უარესად გახდა; დღეს საჭიროა ოპერაცია.

ლონდონი. ნაშუადღევის ორ საათზედ მეფეს ოპერაციას გაუკეთებენ. ლორდ-მარშალმა მიიღო მეფისაგან ბრძანება, გამოაცხადოს მისი სინანული, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო გვირგვინის კურთხევა უნდა გადიდოს. ლონდონში ყველა დღესასწაულები აგრეთვე გადადებული იქნება, მაგრამ მეფეს იმედი აქვს, რომ პროვინციაში ზეიმის ასრულებას არა დაუშლის-რა.

პარიჟი. რუსეთის საელჩოში თავად ურუსოვის საპატიო თავმჯდომარეობით მოხდა წლიური საზოგადო კრება რუსულის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა, რომელსაც საგნადა აქვს აღმოუჩინოს შემწეობა რუსეთის ღარიბ ქვეშევრდომებს, ან მათის სამშობლოში დაბრუნებით, ან ფულისა, ტანისამოსის, სადგომისა და იარაღის მიცემით. კრებამ კენჭისყრით გამოუცხადა მადლობა კომიტეტის თავმჯდომარეს სვეჩინს და მოლარეს მთავარ-კონსულს კარცოვს.

ბერლინი. ნაღმიანი გემი № 42, რომელიც მდ. ელბის შესართავში ინგლისის გემმა გადააბრუნა, დაიძირა. კომანდირი და სამი მატროსი დაიღუპნენ.

დრეზდენი. მობრძანდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

კრონშტადტი. რეველიდგან მოვიდა საფრანგეთის ხომალდი „Dugay Truin", რომლითაც მოგზაურობენ საფრანგეთის საზღვაო კადეტები.

ლონდონი. როდესაც დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ აუარა ჩრდილოეთის მაიაკს, ბრიტანიის ჯავშნიანი კრეისერი „იმორტალიტე" მიესალმა 21 ზარბაზნის დალით. კრეისერმა „Свѣтлана"-მ სალამი გადაუხადა.

ყაზანი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი კრება კომიტეტისა ცეცხლისაგან დაზარალებულთა შესაწევრად. გადიწვა სულ 300 მეტი სახლი. შემოწირულებანი მიიღება გუბერნატორსა და პოლიცმეისტერთან.

ვარშავა. ვარშავის წიგნის მყიდველების საზოგადო კრებამ დაადგინა მოსპოს ურთიერთობა საზღვარ-გარეთელ საკაზმავ ქარხნებთან და დასჯერდნენ ადგილობრივის ქარხნების ნამუშევარს.

ლონდონი. ხელმწიფე მემკვიდრე მობრძანდა ლონდონს. ვოგზალზე მისს იმპერატორებით უმაღლესობას დაჰხვდნენ პრინცი უელსისა და დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე. რუსეთის ელჩი წავიდა მის უმაღლესობის მისაგებებლად და მოჰყვა მემკვიდრეს ლონდონამდე.

პეტერბურგი. 10 ივნისს მობრძანდნენ პეტერბურგს პრინცი-მემკვიდრე ფრიდრიხ-ალექსანდრე ანჰალტ-დესსაუსა მეუღლე მარიამითურთ და იმავე დღეს გაემართნენ მოსკოვს. მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი წავიდა სტარაია რუსაში ახალის ვანების შენობის კურთხევაზე დასასწრებად.

12 ივნისი

პეტერბურგი. ახალის შტანდარტის დამაგრება მის უდიდებულესობის ბეგთახოსანთა ლეიბ-გვარდიის პოლკისა 20 ივნისს მოხდება. შტანდარტი ებოძა პოლკს ორის წლის იუბილეის გამო.

ლონდონი. ოპერაცია კარგად გაუკეთეს მეფეს; დიდი მუწუკი გამოირწყო. ოპერაცია მეფემ კარგად აიტანა; მეფე კარგად ჰგრძნობს თავს.

ლონდონი. ბალფურმა გამოაცხადა, რომ ბიულეტენის გამოქვეყნების შემდეგ მეფეს ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაცია დიდის მოხერხებით იქმნა გაკეთებული. მეფე ძალიან კარგად იმყოფება.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო" იუწყება, რომ როიას არის ავადმყოფი, რომელიც იმავე ავადმყოფობით იტანჯება, როგორიც მეფესა აქვს და 4—5 კვირაა ლოგინად არის ჩავარდნილი. უცხოელ სტუმართა უკან დაბრუნების შესახებ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. როგორც ისმის, ეს საგანი მაშინ გადაწყდება, როცა გარკვეულს რასმე შეიტყობენ ოპერაციისას. ოფიციალურს საზოგადოებაში იმ აზრისანი არიან, რომ ალბად მეფის მდგომარეობა სამძიმოა, თორემ ახლა არ გაუკეთებდნენ ოპერაციასაო.

ლონდონი. ნაშუადღევის $3^{1}/_{2}$ საათზედ კარგი ამბავი მოვიდ მეფის მდგომარეობის შესახებ.

ლონდონი. ბიულეტენი სადამოს 6 საათსა და 40 წუთზედ: „მეფეს თანდათან უკეთესობა ეტყობა. ოპერაციის წყალობით შესამჩნევად შემსუბუქდა მდგომარეობა ავადმყოფისა".

ლონდონი. ხალხის მწუხარება მეფის ავადმყოფობის გამო აუწერელი იყო, როცა ელვასავით სწრაფად გავრცელდა ეს ხმა ლონდონში. სადღესასწაულო გუნებაზე დამდგარი ხალხი გაშრა დარდითა. ლორდთა პალატაში სალისბერიმ გამოსთქვა გრძნობა შეწუხებისა და აუწყა დამსწრეთ, რაც უნდა საკეთილოდ დატრიალდეს საქმე, რამდენიმე კვირა მაინც გაივლის მეფის მორჩენამდე. საზოგადოებათა პალატაში მეფის ავადიყოფობის გამო ბალფურმა ილაპარაკა და მის ლაპარაკს ულმესის მღელვარებით ისმენდნენ დამსწრენი.

ლონდონი. ღამის 11 საათზედ დაიბეჭდა ბიულეტენი: „მეფე იმდენად კარგადაა, რამდენადაც მოსალოდნელი იყო მისი კარგად ყოფნა ესოდენ მძიმე ოპერაციის შემდეგ. სისუსტის წინააღმდეგ ღონის ძიებას სცდილობენ. ტკივილები დაცხრა. მისმა უდიდებულესობამ მცირეოდენი საზრდელი მიიღო. გავა კიდევ რამდენიმე დღე, ვიდრე შესაძლო იქნება იმის თქმა, რომ აღარავითარი შიში აღარ არსებობს მეფისათვისაო".

სოფია. საერო კრების თავმჯდომარემ აუწყა კრებას თვისის მოგზაურობის ამბავი რუსეთში და სთქვა, რომ მოწამე ვიყავ იმ დიდის თანაგრძნობისა, რომელიც აქვს რუსეთის ერს ბოლგარიის ერისადმი. მთავარის მოგზაურობა ამტკიცებს კავშირს ბოლგარიის დინასტიასა და რუსეთს შორის. ეს კავშირი წინდია ბოლგარიის ბედნიერის მერმისისა. ამ ლაპარაკს ერთობლივ ტაშის-კვრით მიეგებნენ.

ბელგრადი. უსკიუბს, რუსეთის საელჩოს მისაღებ დარბაზში მოჰკლა რევოლვერით სამსახურიდან დათხოვნილმა ჟანდარმმა კოსოვის ვილაეტის ჟანდარმერიის უფროსი.

---

*) ფარის ადგილობრივი ანთება.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^{7}/_{8}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$98^{5}/_{8}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^{1}/_{2}$ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$359^{1}/_{4}$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289 „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$88^{3}/_{8}$ გაყ.
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^{5}/_{8}$ გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	100 წვ. გაყ
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	175 წვ გაყ

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით 15 ივნისს, დილის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ბეტანით წყლის სადენ არხის გაკეთებისა. არხს უნდა ჰქონდეს სიგრძე 22,00 საჟენი, დიამეტრი 0,42×0,28 და მეორე არხს კიდევ—81,00 საჟენი სიგრძე და დიამეტრი 0,25×0,16. ეს არხი უნდა დაიწყოს გონჩარნის ქუჩიდგან, უკვე არსებულ არხის პირიდგან და წავიდეს არსენალის შოსეზედ და არხიპოვის შესახვევ ქუჩაზედ. ფასი იჯარისა 1700 მან.

ვაჭრობის მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ყოველ სადა დღეს, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით დილის 12 საათზედ, 15 ივნისს, დანიშნულია ვაჭრობა წყლის სადენ არხის ბეტანით გაკეთებისათვის იჯარით გაცემისა. არხს სიგრძე უნდა ჰქონდეს 69,00 საჟენი, დიამეტრი 0,25×0,16. არხი უნდა დაწყებულ იქმნას მეჟევოის ქუჩიდან, უკვე არსაბულ არხის პირიდან, გაიაროს ყიფიანის ქუჩა და პრიუტის შესახვევი ქუჩა. იჯარის ფასია 1,600 მან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები ყოველ სადა დღეს გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 ივნისს, დილის 12 საათზედ, მის თანადასწრებით დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გაცემისა უსუფთაობის არხის გასაკეთებლად. არხს უნდა ჰქონდეს 170 საჟენი სიგრძე, დიამეტრი 0,375×0,25, მეორე არხს 41,00 საჟენი სიგრძე კიდევ და დიამეტრი 0,25×0,16. ეს არხი გასაკეთებელია კახეთის ქუჩაზედ, მე-7 საპოლიციო უბანში. სულ არხის ფასია 2,900 მან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ პირობები გასინჯონ ყოველ სადა დღეს გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 ამა თიბათვეს, დილის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გაცემისა უსუფთაობის არხის გასაყვანად წყნეთის ქუჩაზე; სიგრძე გასაყვან არხისა 122 საჟ., დიამეტრი 0,42×0,28 და კიდევ მეორე არხი სიგრძით 30,00 საჟენი და დიამეტრით 0,16×0,0; არხი დაიწყება ამ ქუჩაზედვე არსებულ არხის პირიდგან; იჯარის ფასი 2900 მან.

მსურველთ შეუძლიანთ პირობათა გასინჯვა გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ყოველ სადა დღეს დილის 11 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 ივნისს, დილის 12 საათზედ, მის თანადასწრებით დანიშნულია ვაჭრობა უსუფთაობის არხის გაკეთების გაცემისა იჯარით სურფ-კარაპეტის აღმართზედ, სიგრძით $47^{1}/_{2}$ საჟენი, დიამეტრით 0,33×0,22. იმ არხიდან, უნდა დაიწყოს კეთება, რომელიც იქ ქუჩაზედვეა. ფასი იჯარისა 995 მან.

(3—6.—1)



GRAND PRIX PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Кремъ-Ралле,

Духи Бутонъ д'Оръ"

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსეს I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ.
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა.	„ 10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 5
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრუაშვილისა	,, 2
მეღის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	,, 4
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყიფშიძისა	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	,, 4
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ	,, 2
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 4
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 3
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 5
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 3
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.